



### ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტი

მარცხნიდან მარჯვნივ: ლევან ჩიკვატია – ასოცირებული პროფესორი, თორნიკე ნოზაძე – სრული პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შადიმან სახვაძე – ასისტენტ-პროფესორი.

ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტი ტრავმატოლოგიის, ორთოპედიისა და სამხედრო საველე ქირურგიის კათედრის სახელწოდებით დაარსდა 1970 წელს. 1972–1992 წლებში კათედრის გამგე იყო ცნობილი მეცნიერი და კლინიცისტი აკადემიკოსი ოთარ ლუდუშაური – თსსი-ს რექტორი 1972–1975 წლებში. 1992 წლიდან კათედრის გამგის მოვალეობას ასრულებდა პროფესორი ჯემალ გოგუაძე, რომელიც 1994 წელს კათედრის გამგედ იქნა არჩეული. 2000–2001 წლებში კათედრის გამგის ფუნქციას დოცენტი ნათელა ქუქიშვილი ასრულებდა. 2001–2006 წლებში კათედრის გამგე იყო დოცენტი მარინა ლუდუშაური. 2006 წელს ტრავმატოლოგია და ორთოპედია მიმართულებად შევიდა ქირურგიის დეპარტამენტში, ხოლო 2009 წელს გარდაიქმნა ცალკე დეპარტამენტად ახლანდელი სახელწოდებით. 2006 წლიდან ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია სრული პროფესორი თორნიკე ნოზაძე.

დეპარტამენტის (კათედრის) მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევებია: კომპრესიულ–დისტრაქციული ოსტეოსინთეზის მეთოდის დანერგვა ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში, კორუნდული კერამიკის კლინიკურ–ექსპერიმენტული გამოცდა და დანერგვა კლინიკურ პრაქტიკაში, მსხვილი სახსრების ენდოპროტეზირება, ბავშვის ძვალ–სახსართა სისტემის თანდაყოლილი და შეძენილი დეფორმაციების მკურნალობა თანამედროვე მეთოდებით, ხერხემლის პათოლოგიების კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობა, მსხვილი სახსრების ენდოსკოპიური ქირურგია, ძვალ–სახსართა სისტემის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა.